

(ყდაზე გამოტანილი ციტატები)

"თავადი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ყოველნი წინაისწარმეტყუელნი და მოციქულნი ესრეთ იტყვიან, რაითა სიტყვით და გონებით და ხმითა მალლითა აღვიარებდეთ საიდუმლოსა მას მართლმადიდებლობისასა, დიდსა მას დიდებულსა და ყოვლისა სოფლისა განმაცხოვებელსა".

წმ. მაქსიმე აღმსარებელი

"სიკვდილამდე იბრძოლე ჭეშმარიტების დასაცავად. ნუ მეტყვი გულგრილად, რომ შენი საქმე არაა უზნეოთა გამოსწორება; ნუ მეტყვით, რომ არაფერი გვაქვს მათთან საერთო, იმიტომ რომ ეს არის სატ-ანური არაადამიანურობა. ერთი მგზნებარე ადამიანიც კი საკმარისია, რომ გამოასწოროს მთელი ქალაქი. მრავალთა დალუპვა და სულიერი დაცემა მხოლოდ ჩვენი უდარდებლობის ბრალია და არა სისუსტისა".

წმ. იოანე ოქროპირი

"ნელთბილობის სულს ვაჟკაცობა საერთოდ არა აქვს! ნეტავ კიდევ როგორ გვითმენს უფალი? უფლისადმი გულგრილობას ყველაფრისადმი გულგრილობისაკენ მოვეყვართ; მივეყვართ რღვევამდეც".

მამა პაისი მთაწმინდელი

სამეუფო გზა

1. შესავალი

ქრისტეს ეკლესიის ისტორია ნათლად გვიჩვენებს, რომ მის წევრთა წინაშე ყოველ დროში იდგა საკითხი სამეუფო გზის განსაზღვრისა და ამ გზით სიარულისა. მაგრამ ყველაზე მწვავედ იგი ჩვენს დროში დგას, რადგან მსოფლიოს ღვთისგან განდგომილებამ ლამისაა საყოველთაო ხასიათი მიიღოს.

როგორია სამეუფო გზა და რას ნიშნავს სამეუფო გზით სიარუ-ლი? ეკლესიის სწავლებას ამ საკითხთან დაკავშირებით გადმოგვცემს ღირსი აბბა დოროთე ძირითადად "მეორე სჯულის" წიგნზე დაყრდნობით: "ნუ მისდრკები მარჯულ, ნუცა, მარცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ" (2 სჯ. 5. 32, 17. 11), ხოლო წმ. ბასილი დიდი განსაზღვრავს: "წრფელი გულითა იგი არს, რომლისა გული არა იყოს მოყვარე მეტისა, გინა ნაკლებისა, არამედ რათა დგეს იგი საშუალსა გზასა ზედა სათნოებათასა".

მამ რას წარმოადგენს "გზა სამეუფო", "სათნოებათა საშუალი გზა"? ამ ცნებას, ამ მოვლენას ორი მიმართება, ორი ასპექტი გააჩნია: პიროვნული და კრებსითი. პიროვნული თვალსაზრისით სამეუ-ფო გზა პირად ღვაწლთან, შინაგან სულიერ ბრძოლასთან დაკავშირებით განიხილება. ამ მიმართებით სამეუფო გზის მართლმადიდებლურ მოძღვრებას წმიდა იოანე კასიანე გადმოგვცემს თავის შესანიშნავ ნაშრომში "საუბრები": "საჭიროა ჩვენთვის, სრული მონდომებითა და ძალისხმევით ვესწრაფოდეთ, რათა სიმდაბლითა ჩვენითა მოვიხვეჭოთ კურთხეული ნიჭი სიფრთხილისა, რაც ნამეტნაობისაგან ორივესმხრივ დაგვიფარავს, რამეთუ, მამათა თქმით, ორივე უკიდურესობისაგან კრძალვა გვმართებს: მარჯვნივ გარდამეტებული მარხვისაგან შევცვივით განსაცდელსა, მარცხნივ უზრუნველობისაგან კრძალვა გვმართებს". ჩვენი მხრივ დავამა-ტებთ, რომ "გარდამეტებული მარხვა" შეიძლება გარდამეტებულ მოშურნეობამდე განვაზოგადოთ. გარდამეტებული მოშურნეობა კი კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში განიხილება. მისი ნიშნებია ხიბლი, სიმდაბლის დაკარგვა და ამპარტავნება.

კრებსითი თვალსაზრისით სამეუფო გზა ეკლესიის წევრების, - იერარქების, სამღვდელოებისა და მრევლის ეკლესიის სიწმინდისათვის ბრძოლასთან მიმართებაში განიხილება. ამ ასპექტით სამეუ-

ფო გზა - ესაა გზა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ დავიცვათ ქრისტეს ეკლესია ისე, რომ არ შეისვაროს "აწინდელ დროთა ღმრთისგანდგომილებასთან კავშირის სიბილწით" (სერაფიმე როუზი). კრებსითში იკრიბება ყველა პიროვნული და კეთილგონივრული მომუშაობის ღვაწლი ეკლესიის სიწმინდისა და ჭეშმარიტების დაცვის ვალდებულების აღსრულებისას.

ამიტომ ვერცერთი მართლმადიდებელი გვერდს ვერ აუვლის თავისი პოზიციის განსაზღვრას სამეუფო გზასთან მიმართებაში და თავს ვერ აარიდებს არჩევანის გაკეთებას, იაროს თუ არა ამ გზით. საეკლესიო სწავლება იცნობს ორ უკიდურესობას - "მემარცხენეობასა" და "მემარჯვენეობას", ხოლო სამეუფო გზას განმარტავს როგორც საშუალებას მათ შორის.

2. "მემარცხენეობა", ანუ სარწმუნოებრივი ლიბერალიზმი

"მემარცხენეობა" - ესაა დოგმატურ საკითხებში კომპრომისებისა და სარწმუნოებრივი ლიბერალიზმის გზა, რომელსაც დღეს ეკუმენიზმი, მეტიც, პანეკუმენიზმი შეიძლება ვუწოდოთ. ჩვენი თანამედროვე დიდი ამერიკელი მამა სერაფიმე როუზი ამბობს: "ახლანდელი მართლმადიდებელნი კი დიდი ხნის მომზადებულები არიან ყოველთა ეკლესიათა და რელიგიათა "ეკუმენური" შეერთებისათვის ათეული წლების განმავლობაში უდებებით, განურჩევლობით, გამიწიერებითა და იმ დამღუპველ სიცრუესთან შეგუებით, რომ თითქოს ჩვენ არსებითად არაფერი განგვასხვავებდეს ყოველთა სხვათაგან, რომელნიც თავს ქრისტიანებად მიიჩნევენ". ეკუმენისტები მიზნად ისახავენ მთელი მსოფლიოს სხვადასხვა აღმსარებლობებისა და რელიგიების გაერთიანებას, მაგრამ არა საერთო ჭეშმარიტი მრწამსისა და ეკლესიის წმიდა გადმოცემის საფუძველზე, არამედ - სარწმუნოებრივი კომპრომისებისა და პოლიტიკური თანამშრომლობის გზით. აქედან გამომდინარე, მემარცხენეობა არის არა სამეუფო, არამედ წარწყმედის გზა.

"მწვალებლები ცდილობენ ქრისტიანი ადამიანის ცხოვრება აქციონ ადოგმატურად, არაკანონიკურად, უზნეოდ, გვთავაზობენ რა, რომ მშვიდობის სანაცვლოდ დავდუმდეთ დოგმატებზე, კანონებზე, სახარებისეულ მცნებებზე" (სერაფიმე როუზი).

დოგმატურ საკითხებში კომპრომისის მომხრე მემარცხენეები მთლიანად უარყოფენ საეკლესიო კანონიკას. წმ. იოანე ოქროპირი ამხელს მათ და გვიჩვენებს: **"გონება, რომელიც ეურჩება ეკლესიის დოგმატებსა და წმ. მამათა სწავლებას, უთანხმოებას თესავს ქრისტიანებს შორის...ამიტომ, ვისაც სურს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი შვილი იყოს, დაე, ურჩი გონება ეკლესიის კანონებით დააცხროს და ყველაფერში დედა-ეკლესიას დაემორჩილოს"**.

მემარცხენეობა ეკლესიის მიერ არამცთუ სამეუფო გზადაა მიჩნეული, არამედ მტკიცედაა უარყოფილი. მამა სერაფიმე როუზი მემარცხენეობაზე ამბობს, რომ ეს არის **"განწყობილება, დამყარებული რელიგიურ განურჩევლობასა და თვითკმაყოფილებაზე, ნივთიერ კეთილდღეობასა და უსულგულო ინტერნაციონალიზმზე"**.

საგულისხმოა, რომ პროეკუმენისტ სასულიერო პირთა შორის ჭარბობენ ისეთები, რომლებმაც თავიანთი განათლება პაპისტურ ან სხვა დასავლური იდეოლოგიის მატარებელ სასწავლებლებში "სრულყვეს", რამაც მათი ცნობიერების და მისწრაფებების გამიწიერებას შეუწყო ხელი. მათი მისამართით წმ. ეპისკოპოსი გეგბრიელი (ქიქოძე) ამბობს: **"პირველი ნიშანი და თვისება ახლანდელთა მაცდურთა ის არის, რომ იგინი თავის ლაპარაკში აურევენ სულიერსა და ხორციელსა, ქვეყნიერსა და ზეციერსა, სამოქალაქო წყობილებასა და საღმთოსა სჯულსა, სარწმუნოების სწავლასა და სოფლის მდგომარეობასა... ზოგიერთნი საცოდავნი და საბრალონი ჩვენნი ყმაწვილნი კაცნი, როდესაც უცხო ქვეყნებში წავლენ, იმას კი არ უყურებენ და სწავლობენ, რაც არის იქ პატიოსანი და ღირსი ქებისა და ბაძვისა, არამედ გაისვრებიან იქაურსა ნეხვსა შინა და აქაც იმას მოგვიტანენ, თითქოს ჩვენში ეს მასალა ნაკლებად იყოს"**.

ასეთ "ნეხვსა შინა გასვრილ ახლანდელ მაცდურთა" გამოცნობა იოლია. ისინი ყველა ეპოქაში

არსებობდნენ და დაუფარავად იბრძოდნენ ეკლესიაში სიახლეების, მოდერნისტული სულის-კვეთების შემოტანისათვის. შედარებით მწელია მათი სულიერი ნათესავების, ფარული მემარცხენეების გამოცნობა.

3. "ფარული მემარცხენეობა", ანუ ნელთბილობა

სამწუხაროდ, ეკლესიაში არსებობს ნელთბილობა, ანუ "ფარულ მემარცხენეთა" კატეგორია, რომელთაც დღეს (შესაძლოა ყველაზე მეტადაც) აქვთ სამეუფო გზაზე მავალობის პრეტენზია. ისინი ზომიერებად, ანუ "სამუალსა გზასა ზედა სათნოებათასა" სიარულად ეკუმენიზმისა და ერესების მხილებისაგან თავის შეკავებას მიიჩნევენ. ესაა არასარწმუნოებით მდუმარების, ნელთბილობის, გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი ფარული კომპრომისების გზა. ამ კატეგორიის პირთა სპექტრი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. მათგან ჩვენ გამოვყოფთ კომფორმისტებს, რომლებიც სამეუფო გზაზე სიარულს იჩემებენ და ამით თავიანთი დუმილისა და უმოქმედობის გამართლებას ცდილობენ. ისინი მდუმარედ ადევნებდნენ თვალყურს ბოლო დროს ჩვენი ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ მიმართულ ცილისმწამებლურ კამპანიას და ელოდებოდნენ, თუ ვინ გაიმარჯვებდა. ეს მოვლენა შესაძლოა უფრო საშიშიც იყოს ეკლესიისთვის, ვიდრე აშკარად გამოხატული მემარცხენეობა. **"ის პოზიცია, რომელსაც კომპრომისების და დათმობების გზაზე დამდგარი მწყემსები ირჩევენ, ეკლესიისთვის დამღუპველია. ეკლესიას კი არ უნდა ვწირავდეთ საკუთარი კეთილდღეობისათვის, პირიქით, თავი არ უნდა გვენანებოდეს ეკლესიისთვის"** (მღვდელმოწამე ბენიამინი; დახვრიტეს 1922 წ.).

ნელთბილობა, ანუ "ფარულ მემარცხენეთა" ერესთმემწყნარებლური დუმილი მოკავშირედ ექცათ ეკლესიის მტრებს. **"დუმილით გაიცემა ღმერთი"** - ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომელიც თავმჯდომარეობდა II მსოფლიო კრებას კონსტანტინოპოლში. მან მოპაექრე ჭემმარიტების დამცველთა და მოწინააღმდეგეთა გვერდით გამოარჩია მდუმარე ქრისტიანები, ნელთბილები, ისინი, ვინც დუმდნენ და ელოდებოდნენ, თუ საით გადაიხრებოდა გამარჯვების სასწორი, რომ შემდეგ იმ მხარეზე დამდგარიყვნენ. ასეთ ქრისტიანეთა ქმედებამ ყველაზე მეტად აღაშფოთა წმ. მამა და წყეულნი უწოდა მათ.

"ფარულ მემარცხენეთა" დანაშაულებრივ დუმილსა და უმოქმედობას ამხელს მამა სერაფიმე როუზი: **"ერეტიკოსებს არ სჭირდებათ, რომ ყოველმა მართლმადიდებელმა მიიღოს მწვალებლობა. მათთვის სავსებით საკმარისი იქნება, თუკი მართლმადიდებლები უბრალოდ დადუმდებიან და არ შეუშლიან ხელს ადამიანთა სულების წარწყმედას. ერეტიკოსებს არ სჭირდებათ, რომ დოგმატის ადგილას აუცილებლად აღმართულ იქნას ანტიდოგმატი. მათთვის სავსებით საკმარისია, რომ საკითხმა დოგმატური სფეროდან გადაინაცვლოს პირადი მოსაზრებების არეალში"**.

"ფარულ მემარცხენეთა" იდეოლოგია ახლოსაა ფარისევლობასა და მწიგნობრობასთან. მათი ინსინუაციები ძირითადად მოშურნე მართლმადიდებელთა წინააღმდეგ არის მიმართული. ამავე დროს ისინი შედარებით ლოიალურნი არიან მემარცხენეების, როგორც სუ-ლიერი ნათესავების მიმართ. თუკი მემარცხენეებს დოგმატების მიმართ აქვთ ლიბერალური დამოკიდებულება, ნელთბილების ლიბერალიზმი უფრო მეტად კანონიკის მიმართ არის გამოხატული და კანონიკის დაცვისათვის ზრუნვას გარდამეტებულ მოშურნეობად, მემარჯვენეობად მიიჩნევენ. მაგრამ კანონიკური ლიბერალიზმი არის პროგრესირებადი ლიბერალიზმი, რომელიც საბოლოო ჯამში მემარცხენეობამდე მიდის. ღვთივგამოცხადებითი კანონები-სა და კანონიკის დათმობას საბოლოოდ სარწმუნოებრივი კომპრო-მისისაკენ მივყავართ, რადგან: **"უმჯობესია ზეცა და მზე შეიცვალოს, ვიდრე საეკლესიო კანონებში შეიცვალოს რაიმე, რადგან წმიდა ეკლესია ღვთის სიტყვით არის დაფუძნებული, ხოლო ღვთის სიტყვა ცასა და დედამიწაზე უმტკიცესია"** (წმ.

კირილე იერუსალიმელი).

"შევიყვართ ყველა საეკლესიო გადმოცემა, დაწერილი თუ დაუწერიელი", გვასწავლის წმ. გრიგოლ პალამა.

"მემარცხენეებისა" და "ფარული მემარცხენეების" მსოფლმხედველობებსა და იდეოლოგიებს შორის მსგავსება აშკარაა. მათ სამხილებლად ეკლესია გვასწავლის:

"როდესაც კეთილისყოფაა საჭირო, დაე, ყოველი კაცი შენი მოყვასი იყოს, ხოლო როცა საქმე ჭეშმარიტებას შეეხება, მაშინ გაარჩიე შენიანი უცხო საგან. თუკი შენი ღვიძლი ძმა, დედმამიშვილი, არ არის შენთან გაერთიანებული ჭეშმარიტების კანონით, მაშინ იგი უფრო უცხო უნდა იყოს შენთვის, ვიდრე სკვითი; და პირიქით, თუ სკვითსა და სავრომატს მართალი დოგმატები უპყრიათ და სწამთ იგივე, რაც შენ გწამს, მაშინ ისინი უფრო ახლოს უნდა იყვნენ შენთან, ვიდრე ღვიძლი ძმა. ბარბაროსსა და არაბარბაროსს ჩვენ ენითა და წარმომავლობით კი არ განვარჩევთ, არამედ აზრებისა და სულის მიხედვით. ადამიანი უპირატესად ის არის, ვინც ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლებას იმარხავს და სიბრძნისმოყვარე ცხოვრებას ეწევა" (წმ. იოანე ოქროპირი);

"ეკლესიის წევრი შეიძლება გახდეს და, ამავე დროს, საეკლესიო იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე დადგინდეს ესა თუ ის პიროვნება, განურჩევლად მისი სოციალური, ეთნიკური და რასობრივი წარმომავლობისა" (საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, 2005...წლის სამობაო ეპისტოლე).

"მემარცხენეთა" მსგავსად, "ნელთბილთა" თვალსაზრისითაც "საშუალი გზა" არის არა უცვლელი, რაც ეკლესიის სწავლების უცვლელობიდან გამომდინარეობს, არამედ "იკონომიის" პროცესს, უფრო სწორედ, "იკონომიის" კანონად ქცევის პროცესს დაქვემდებარებული ცვალებადი გზა. "იკონომიზმი" კი პერმანენტულად ლიბერალიზებადი პროცესია, რაც დიდი სჯულის კანონის არა ერთბაშად (მემარცხენეთა მსგავსად) უარყოფას, არამედ დროში გაწევილ ლიბერალიზაციასა და შეცვლას ნიშნავს. ამიტომ ნელთბილთა "სამეუფო გზა" არის არა უცვლელი, არამედ განუხრელად მემარცხენეობისაკენ მიდრეკილი და გადანაცვლებადი. ამის გამო ნელთბილობა ფარულ მემარცხენეობას წარმოადგენს და ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის მამები მემარცხენეებსა და ნელთბილებს ერთად ამხელენ:

"ქრისტეს კლესიაში არაფერია ნაკლებადღირებული და უმნიშვნელო, რამეთუ ყოველ წეს-ჩვეულებაში მკვიდრობს სულიწმიდა, ვისითაც სუნთქავს და სულდგმულობს ეკლესია. ყოველი, რომელი წინ აღუდგება წმიდა წერილს და საღმრთო გადმოცემებზე დაფუძნებულ საეკლესიო წეს-ჩვეულებებსა და კანონებს, სულიწმიდას აღუდგება". (მიტროპოლიტი ინოკენტი);

"თუ ცხონებისაკენ მხოლოდ ერთ სარწმუნოებას მივყავართ, იმდენად, რომ ყველა უცხო სარწმუნოებას ცხონება კი არა წარწყმედა მოაქვს, მაშ ის, ვინც უცხო სარწმუნოებას იცავს, განა არ ღუპავს ყველას, ვისაც აიძულებს დაიცვას იგი?...ასევე ინდიფერენტიზმიც, იგი აუძლურებს და კლავს სულს. ვისაც იგი დაეუფლება, ის იგი-ვეა, რაც უღმერთო, რადგანაც ცხადია, რომ მისთვის სარწმუნოება რაღაც გარეშე საქმეა და მხოლოდ ჩვეულების ძალით მისდევს მას, სხვების წაბადვით; ანდა, რაც კიდევ უფრო უარესია, მისდევს როგორც რაიმე პოლიტიკურ საშუალებას" (ჩვენ დავამატებთ - სარფიან პროფესიას - ავტ.) (წმ. თეოფანე დაყუდებული).

ფარულ მემარცხენეთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ფა-რისეველური მორჩილება; არა "ჭეშმარიტი მორჩილება...რათა არა მოუძღვრდეთ" (ებრ.2,1), არამედ მორჩილება პაპისტური გაგებით, ანუ მონება კაცთა და არა ღმრთისა. ეკლესიის ცოცხალმა ისტორიამ ისიც გვიჩვენა, რომ ღმრთის მონობის ნაცვლად კაცთა მონობის უღლის დამდგმელნი, ვერც ამ კაცთა ერთგულნი რჩებოდნენ ბოლომდე.

ყველა გამოვლინების ნელთბილებს მამა პაისი მთაწმინდელი შემდეგი სიტყვებით ამხელს: "უმძიმესი დრო მოდის. მოდით ყველაფერ ამას სერიოზულად მოვეკიდოთ და სულიერად ვიშრომოთ...ამ სულიერ შრომას ფასი ექნება, თუკი ჩვენ სიხარულით, საკუთარი ნებით

ვიშრომებთ და არა იმიტომ, რომ გვაიძულებენ. ბევრი წმიდანი ითხოვდა, რომ ჩვენს ეპოქაში ეცხოვრა, რათა ეს ღვაწლი აღესრულებინა... მე ვხარობ, როდესაც ანგარიშისწორებით მემუქრებიან იმის გამო, რომ არ ვდუმვარ და მათ გეგმებს ვარღვევ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ სიცოცხლე მომბეზრდა, არამედ იმიტომ, რომ ჩემთვის ბედნიერებაა ქრისტესთვის სიკვდილი... ამჟამად ბრძოლაში ვებმებით არა მამულის დასაცავად, ჩვენ ომს წარვმარ-თავთ არა ნაციონალური ინტერესებით, ან რაიმე იდეოლოგიისათვის. ახლა ჩვენ ვიბრძვით ან ქრისტეს, ან ეშმაკის მხარეს, ვინ ვისკენაა - ძალთა განლაგება აშკარაა! ოკუპაციის დროს გმირად იქცეოდი, თუკი არ მიესალმებოდი გერმანელს, ახლა კი გმირად იქცევი, თუ ეშმაკს არ მიესალმე. ასე თუ ისე, ჩვენ საშინელი მოვლენების ხილვა მოგვიწევს";

წმ. მაქსიმე აღმსარებელი კი განმარტავს: "რამეთუ კეთილთა საქმეთა სრულებასა არა ეძიებს ყოველთაგან ღმერთი, არამედ ნაკლულევანებასა სათნოებათასა შეგვინდობს წყალობით, უკეთუ ოდენ სრულიად არა ცარიელ ვიყვნეთ კეთილთა საქმეთაგან, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: "სახლსა მამისა ჩემისასა მრავალ სავანე არიან" (იოან. 14,2). ესე სიტყუანი თითოსახეთა მოქალაქობათათვის თქმულ არიან, რამეთუ რომელნიმე უმეტეს მოღუაწე არიან და რომელნიმე უდარეს, ხოლო სარწმუნოებისაი ესე წესი არა არს, არამედ ყოველსა ქუეყანასა მართლალსარებისაი სრული თანააც, რაითა ყოველივე ნაკლულევანებაი არა იყოს. უკუეთუ კნინოდენი შეემთხვიოს ნაკლულევანებაი და განდრეკილებაი სარწმუნოებისაი, ყოველივე წარუწყმედიეს ესევეთარსა მას და დაუქცევიეს სული თვისი" (მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრება).

წმ. მაქსიმე აღმსარებელი პირდაპირ ამხელს მათ, ვინც მიიჩნევს, რომ მთავარია გულში გვეონდეს ჭეშმარიტი სწავლება, ხოლო საამკარაოზე მისთვის ბრძოლა არ არის აუცილებელი. ისინი ამბობენ - ღმერთი თავად მოაგვარებს ყველა პრობლემას, რადგან ნათქვამია "ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნან მას". ამის საპირისპიროდ მოვიყვანოთ ეპიზოდი მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებიდან: "წმიდამან მაქსიმე თქუა: უფროსად ყოველი კაცი წმიდა იქმნების ჭეშმარიტებითა მით აღსარებითა სარწმუნოებისაითა, არა წინააღდგომითა მით აღსარებითა მართლმორწმუნოებისაითა. ტროიანე თქუა: გულსა შინა შენსა გაქუნდინ, ვითარცა გნებავს, არავინ გაყე-ნებს. წმიდამან მაქსიმე თქუა: უფალმან და მაცხოვარმან ჩუენმან არა ეგრე ბრძანა, რაითა გულსა შინა ოდენ გვაქუნდეს სარწმუნოე-ბაი, არამედ ესრეთ იტყვის: "რომელმან არა აღმიაროს მე წინაშე კაცთა, არცა მე აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა" (მათ.10,33); და წმიდაი მოციქული იტყვის: "გულსა გრწამსცა სიმართლედ და პირითა აღიარებდი საცხოვრებელად" (რომ. 10,10); რა-მეთუ "აღ-თუ-აღიარო პირითა შენითა უფალი იესუ და გრწმენეს გულითა შენითა, ვითარმედ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით, სცხონდე" (რომ.10,9). აწ უკუე ვინაითგან თავადი უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და ყოველნი წინაისწარმეტყუელნი და მოციქულნი ესრეთ იტყვიან, რაითა სიტყვით და გონებით და ხმითა მალლითა აღ-ვიარებდეთ საიდუმლოსა მას მართლმადიდებლობისასა, დიდსა მას დიდებულსა და ყოვლისა სოფლისა განმაცხოვებელსა". ამგვარად სამეუფო გზით სიარული არის არა დუმილი, ნელთბილობა, კონიუნქტურული დიპლომატია თუ კონფორმიზმი, არამედ მართლმადიდებლობის აღიარება და დაცვა "სიტყვით და გონებით და ხმითა მალლითა".

საზოგადოდ ნელთბილობის მოვლენას მამა პაისი ასე აფასებს: "ნელთბილობის სულს ვაჟკაცობა საერთოდ არა აქვს! ნეტავ კიდევ როგორ გვითმენს უფალი? უფლისადმი გულგრილობას ყველაფრი-სადმი გულგრილობისაკენ მივყევართ; მივყევართ რღვევამდე".

ამგვარად, ნელთბილთა, ანუ "ფარულ მემარცხენეთა" გზა არის სულის წარწყმედის გზა: "გზა "დუმილით ღმერთის ღალატისა" - არ არის სამეუფო გზა, ეს არის წარწყმედის გზა... ეს არის გან-წყობილება, დამყარებული რელიგიურ განურჩევლობასა და თვითკმაყოფილებაზე, ნივთიერ კეთილდღეობასა და უსულგულო ინტერნაციონალიზმზე... უკუეთუ ამ მოძღვრებას ჩვენს დროს მივუსადა-გებთ, ითქმის, რომ დღეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის სამეუფო გზა არის გზა

საშუალო ორ უკიდურესობას შორის: რომელთაგან ერთია ეკუმენიზმი და რეფორმაცია, მეორე კი – "შურსა საღმრთოი, არამედ არა მეცნიერებით"(რომ. 10. 2)" (სერაფიმე როუზი).

4. "მემარჯვენეობა", ანუ "შური საღმრთო არამეცნიერებით"

ეკლესიის სწავლებით, "შური საღმრთო არამეცნიერებით" წარმოადგენს სქიზმის, განხეთქილების გზას. სერაფიმე როუზი სამეუფო გზის განმარტებისას ამბობს, რომ მართლმადიდებლობისათვის მიუღებელია როგორც "მემარცხენეობა", ასევე **"მემარჯვენე უკიდურესობისაკენ"** მიდრეკა, რისი გამოვლინებაცაა მართლმადიდებელი ეკლესიის **"საიდუმლოთა მადლსმოკლებულად გამოცხადება"**, ანუ სქიზმა - ეკლესიასთან ექვარისტიული კავშირის გაწყვეტა და განხეთქილებაში გასვლა.

სამეუფო გზა კი არ გამოირჩევა დოგმატებისა და კანონების დაცვას მართლმადიდებლური მოშურნეობით, არამედ გმობს ისეთ გარდამეტებულ, არამეცნიერებით მოშურნეობას, რომელიც მორ-წმუნეში შობს ხიბლს, ამპარტავნებასა და სქიზმატურ განწყობილებებს. სწორედ ამის შედეგად ხდება განხეთქილებაში გასვლა სამღვდელოებისა და მრევლის მიერ უკანონოდ და თვითნებურად ეპისკოპოსის ხელდასმა; ან განხეთქილებაში მყოფ ეპისკოპოსთან შეერთება; ან ეპისკოპოსის (ერთის ან რამდენიმესი), სამღვდელოებისა და მრევლის გამოყოფა ადგილობრივი ეკლესიიდან და პარალელური იერარქიის შექმნა.

მემარჯვენეობის არსის წარმოჩენისას მამა სერაფიმე ამბობს, რომ მემარჯვენეთა **"საკუთარი სათნოებით" აღძრული ამპარტავნება წინაღუდგება მდაბალ სინანულს, რომელიც უნდა ექმნეს კაცს საცხოვნებლად**".

სქიზმა, ანუ განხეთქილება ეკლესიის მიერ მკაცრად დადგინებული, რადგან იგი ნიშნავს ერთიანი ეკლესიის გახლეჩას და ქრისტეს მთლიანი კვართის დანაწევრებას, რაც მაცხოვრის ჯვარ-მცმელებმაც კი ვერ გაბედეს. განხეთქილება, ისევე როგორც მრავალი მწვალებლობა, ემშაკის გამოგონილია. წმ. კვიპრიანე კართაგენელი ბრძანებს: **"მან (ემშაკმა - ავტ.) გამოიგონა წვალე-ბანი და განხეთქილებანი, რათა დაამხოს სარწმუნოება, დაამახინჯოს ჭეშმარიტება, დაარღვიოს ერთიანობა"**.

სქიზმატების დამახასიათებელი ნიშანია ცრუ ქადაგება, იმის მიჩნევა, რომ ეკლესიაში არსებული პრობლემების გამო ეკლესიამ დაკარგა მაცხოვნებელი მადლი. ამიტომ სქიზმატები, ამ მადლის "გადარჩენისა" და "შენარჩუნების" მიზნით, გადიან განხეთქილებაში და აარსებენ, ან ეკედლებიან სხვა ვითომ "ჭეშმარიტ მართლ-მადიდებელ ეკლესიას", სინამდვილეში კი ცრუეკლესიას, რაც მათი უკიდურესი ამპარტავნების გამოხატულებაა.

საქართველოში ასეთ სქიზმატურ დაჯგუფებებს წარმოადგენენ: ბასილ მკალავიშვილის, ე.წ. "ბოსტონის" და სხვა დაჯგუფებები.

ეკლესიიდან განკვეთილ რადიკალ-მემარჯვენეთა მიერ ხატებითა და ჯვრებით უცხო კონფესიათა წარმომადგენლების ცემა-ტყეპამ და რბევამ საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის დისკრედიტაციას შეუწყო ხელი. მიზანმიმართულად ხდებოდა მათი ქმედებების მართლმადიდებელი ეკლესიისა და მართლმადიდებლობისათვის მიწერა, მართლმადიდებლების ტერორისტებად გამოცხადება და კარგად ორგანიზებული, სახელმწიფო სამსახურების მიერ ხელშეწყობილი ანტიეკლესიური კამპანიის აგორება. ეს ცალკე თემაა და ამჯერად "მემარჯვენეობის" ამ აგრესიულსა და უკიდურეს ფორმას გვერდს ავუვლით (მისი დამღუპველობა ისედაც ყვე-ლასთვის ცნობილია), მით უმეტეს, რომ "მკალავიშვილის სინდრომი" საქართველოსთვის უცხო მოვლენაა და ეს ფენომენი საქარ-თველოში მნიშვნელოვანწილად ინსპირირებული და კულტივირებულია ეკლესიის მტრების მიერ. მკითხველის ყურადღებას განხეთქილების უფრო "კლასიკურ" მაგალითზე შევაჩერებთ.

1997-98 წლების მოვლენების შემდეგ ნაწილი იმ სამღვდელოებისა და მრევლისა, რომლებიც საქართველოს ეკლესიის " მსოფლიო ეკუმენური საბჭოდან" გამოსვლისათვის იბრძოდა, მიუხედავად ჩვენი პატრიარქისა და წმ. სინოდის მართლმადმსარებლობითი, შეიძლება ითქვას, ისტორიული გადაწყვეტილებისა, მაინც სქიზმაში გავიდა და ეკუმენიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა იმ ნაწილს, რომელიც "ცხოვნების გალავნის" შიგნით, ანუ ეკლესიის წიაღში დარჩა, ასე საყვედურობენ:

"მაინც რომელ "გალავანს" (როგორც თქვენ უწოდებთ) შიგნით იმყოფებით?...თქვენ ამბობთ, სანამ ჩვენს ეკლესიას არავითარი ცრუ დოგმატი ან ცრუ სწავლება არ დაუკანონებია, მანამ ცრუ სწავლებები და გადახრები უნდა მივიღოთო, როგორც კერძო მცდარი აზრები, რომლებსაც უნდა ვებრძოლოთო..." შიგნიდან მებრძოლნი", ვინ შეგითანხმათ ბოლო ათწლეულებში მიღებული დოკუმენტები, სწორედ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას რომ ეხებოდა, მართლმადიდებელ ეკლესიაში ინერგებოდა, იქადაგებოდა სიტყვით თუ საქმით, აშკარად თუ ფარულად? მათ ხომ ეკლესიის სრულუფლებიან წევრებად კი არა, უუფლებო მონებად მიაჩნი-ხართ! რაო ასე არ არის?" (სქიზმატი "მღვდელი" ზ.არომვილი ("ბოსტონის" დაჯგუფება - ავტ)).

რა თქმა უნდა ასე არ არის. ეკლესიის სწავლებით, არამარტო კანონიკური, არამედ მცდარი დოგმატური დადგენილებაც რომ მიიღოს სინოდმა, ანდა ცრუსწავლება იქადაგოს ეპისკოპოსმა, განხეთქილებაში გასვლა მაინც არ შეიძლება; იმიტომ, რომ არც მწვალებლობაში და არც განხეთქილებაში სულიწმიდის მადლი არ მოქმედებს და ვერც მწვალებლები ("მემარცხენეები") და ვერც განხეთქილებაში მყოფნი ("მემარჯვენეები") ცათა სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ. რაც შეეხება უუფლებობას? ეკლესიის წევრთა უფლებები და მოვალეობები ეკლესიის სწავლებით განისაზღვრება და არა იერარქთა ადმინისტრაციული განკარგულებებითა თუ პირადი შეხედულებებით. სწორედ ამ უფლება-მოვალეობათა ეკლესიის სწავლების შესაბამისად განსაზღვრა და მათი აღსრულება წარმოადგენს სამუფო გზით სიარულს.

5. სამეუფო გზა

1). "მემარჯვენეთა", ანუ სქიზმატთა სამხელად

სქიზმატი "მღვდლის" ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ნათლად ჩანს "მემარჯვენეობისათვის" დამახასიათებელი ნიშნები: უნდობლობა დედა ეკლესიისადმი, მებრძოლი ეკლესიის უარყოფა, განაწ-ყენებულობა, ამპარტავნება, ცრუმისიონერულობა, ეკლესიის სწავლების უარყოფა განხეთქილების შესახებ. იმას, ვისაც ეკლესიაში განხეთქილება შემოაქვს, ჭეშმარიტების მტერია! ქრისტეს უარმყოფელია! განხეთქილებაში ყოფნა ნიშნავს მაცხოვრებელი ეკ-ლესიისაგან განდგომასა და სულის წარწყმედას. განხეთქილება ისეთივე დამღუპველია, როგორც პაპიზმი ან სხვა რომელიმე მწვა-ლებლური მიმდინარეობა.

წმ. კვიპრიანე კართაგენელი ეკლესიაში განხეთქილების შემომტანთა გასაგონად ბრძანებს: **"ნუვინ იფიქრებს, თითქოს კეთილ კაცებს შეეძლოთ გამოეყონ ეკლესიას. ქარი არ განაზნევის ხორბალს, და ფესვმაგარ ხეს ქარიშხალი ვერას დააკლებს, მხოლოდ ბზეს ფანტავს ნიავი, და სუსტი ხე წვება გრიგალისაგან. სწორედ მათ შეაჩვენებს იოანე მახარებელი, როდესაც ამბობს: "ჩვენგან განვი-დეს, არამედ არა იყვნეს ჩუენგანნი, რამეთუ უკეთუმცა ჩუენგანნი იყვნეს, და-მცა-დგრომილ იყვნეს ჩუენ თანა" (1 ინ. 2.19)".**

ეკლესიის შიგნით არსებული პრობლემები, თუნდაც წმ. სინოდის მიერ მცდარი დოგმატური დადგენილების მიღება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეკლესიის შთავარდნას მწვალებლობაში. თუ სინოდი მიიღებს მცდარ დოგმატურ დადგენილებას, მაშინ ეკლესიაში არსებული წესის შესაბამისად უნდა მოხდეს საკითხის დაყენება და კვლავ გამოკვლევა. თუ სინოდმა ცდომილება არ

გამოასწორა, კიდევ არაერთგზის შესმენის შემდეგ სამღვდელოებამ და მრევლმა, რომლებიც იცავენ ჭეშმარიტ დოგმატსა და სწავლებას, უნდა შეწყვიტონ წირვაში და პირად ლოცვებში იმ ეპისკოპოსების მოხსენიება, რომლებიც დარჩებიან მწვალებლურ სწავლებაზე. ამასთან ერთად, მათ უნდა მიმართონ დახმარებისათვის ეკლესიის სისავსეს - ანუ ყველა ადგილობრივ ეკლესიას თხოვნით, რომ ჩაერიონ და მიიღონ აქტიური მონაწილეობა სინოდის მიერ მიღებული მცდარი დოგმატური დადგენილების გამოსწორებაში. ყველაფერი იგივე ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ სინოდმა მიიღო მცდარი კანონიკური დადგენილება - გარდა წირვაში და პირად ლოცვებში მოხსენიების შეწყვეტისა. საეკლესიო კანონის დაცვა ისევე, როგორც დოგმატისა, უნდა ხდებოდეს სიტყვითაც, წერილობითაც, ქადაგებითაც და საქმითაც.

დოგმატებისა და საეკლესიო კანონების დაცვის დროს სამღვდელოებს და მრევლს შეიძლება მოუწიოს ყველანაირი დევნისა და ცილისწამების დათმენა. მაგრამ მართლმადიდებლები არ უნდა შეუშინ-დნენ ყოველივე ამას, რამეთუ მცნებაა ღვთისა: **“ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი”**. (მათე, 5, 10).

2). ღია თუ ფარულ "მემარცხენეთა" სამხელად

ყველა ჯურის "მემარცხენეთა" იდეოლოგიის საპირისპიროდ, საეკლესიო სწავლების დაცვაში მოშურნეობა აუცილებელია და სულაც არ წარმოადგენს "მემარჯვენეობას": **"ეკუმენისტური" მართლმადიდებლობის, განურჩეველი, ნელთბილი, ღმრთის გარე-განი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა პროტესტის საზომი ჯერაც დასადგენია...ყოვლად შეუძლებელია ამაოდ ჩაველო მეოცე საუკუნის მრავალთა მოწამეთა, აღმსარებელთა და მართლმადიდებლობის სარწმუნო მოსაგრეთა მოწმობას. ღმერთმა დაიცვას თავისი მოშურნენი ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის სამეუფო გზაზე მისი წმიდა ეკლესიის ერთგულებით უკუნისამდე"** (სერაფიმე როუზი).

ამგვარად, მეოცე საუკუნის დიდი მამა არამცთუ გამორიცხავს მოშურნეობას, არამედ ლოცავს მოშურნეებს და სამეუფო გზაზე სიარულს მოწამეობად, აღმსარებლობად და ჭეშმარიტების დამოწმებად მიიჩნევს. **"წმიდა ეკლესია იმ პირობით იშვილებს ყოველსა კაცსა, იმ პირობით ამოიყვანს ემბაზისაგან, ესე იგი სულიერად შობს, რათა მან მიიღოს და დაიცვას შეუცვლელად ის სწავლა, რომელიც მისცა ეკლესიას მაცხოვარმა იესო ქრისტემ"** (წმ. ეპისკ. G გაბრიელ ქიქოძე). ეკლესიის სწავლების დაცვისათვის ბრძოლაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ **"მემარჯვენეები"** გარდამეტებული მოშურნეობით გამოირჩევიან, ღია და ფარულ **"მემარცხენეთა"** ადოგმატური და აკანონიკური იდეოლოგია საერთოდ გამორიცხავს მართლმადიდებლურ მოშურნეობას, რომელიც ემყარება ეკლესიის სწავლების უცვლელობასა და მისი დაცვის აუცილებლობას, რასაც ისინი ფანატიზმად, რადიკალიზმად და ექსტრემიზმად წარმოაჩენენ. მამა სერაფიმე როუზი ამხელს მათ: **"ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა არც დროჟამისაებრ იცვლება და არც იმას ცდილობს, რომ "სიფრთხილე", "სიმართლე" და "კანონიერება" (თავისთავად მშვენიერი თვისებები) გამოიყენოს ფარისევლური თვითკმაყოფილების, უნდობლობის და განკერძოების შესანიღბად...ნუ გავრევთ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ზომიერებას ნელთბილობას-თან, განურჩევლობასთან ან პოლიტიკურ უკიდურესობათა მიმართ რაიმე სახის კომპრომისთან. "რეფორმისტული" სული ისე მოედო დღეს ქვეყანას, რომ ყოველი კაცი, "თანადროული სულისკვეთე-ებით" ჩამოყალიბებული, ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას ფანატიზმისდაგვარ რადმე მიიჩნევს. მაგრამ ვინც უფრო ჩაუღრმავდება და წმიდა მამათა საზომით მიუდგება ამ საკითხს, დარწმუნდება, რომ სამეუფო გზა შორს არის ყოველგვარი ექსტრემიზმისაგან"**. მათ კი, ვინც წმიდა მამათა საზომით მიუდგება ამ საკითხს, გაახსენდებათ სამეუფო გზაზე გაბრწყინებული წმ. ილარიონ ქარ-თველის ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდი:

"მეორე დღეს, ფაშას უფრო მეტად გასაღიზიანებლად, მამა ილარიონმა დაიწყო ლაპარაკი მუსულმანობისა და მისი დამაარ-სებლის, მუჰამედის სიცრუეზე. მას მატყუარას უწოდებდა და ამბობდა, - როგორც თვითონ დაილუპა, ისე ყველა მისი მორწმუნე დაილუპებო...მამ შენი აზრით, ვინ ცხონდება და სამოთხეში ვინ მოხვდება?" (შეეკითხა თურქი ფაშა). - "მხოლოდ ჭეშმარიტი მორწმუნენი, ქრისტეს მართლმადიდებელი სარწმუნოების წიაღში მყოფნი; მათ გარდა ყველანი: ებრაელები, სომხები, კათოლიკეები და პროტესტანტები სატანჯველით დაისჯებიან." (უპასუხა მამა ილარიონმა). მაშინ ყველამ, ვინც კი ოთახში იმყოფებოდა, (ამ დროს ფაშასთან შეკრებილიყო ყველა მთავარი თურქი მოხელე, აგრეთვე - წარჩინებული უცხოელები: ინგლისელები, ფრანგები, ებრაელები და სომხები), გამბვინვარებულმა შესძახა: "სიკვდილი მაგას!"...მამა ილარიონმა თავი მოიშიშვლა, დახარა და თქვა: "აჰა! მოჭერი! ჭეშმარიტებისათვის სიკვდილისა არ მეშინია!".

ასეთია სამეუფო გზა, მართლმადიდებლური მომურნეობა, რომელსაც დღეს მემარცხენეები ფანატიზმად და რადიკალიზმად წარმოაჩენენ.

3). სამეუფო გზა, ანუ არცა მარჯულ, არცა მარცხულ

სამეუფო გზა - ესაა უკომპრომისო ბრძოლა ჭეშმარიტების დასაცავად, მაგრამ - ბრძოლა, რომელსაც მართლმადიდებლები აწარმოებენ სიმდაბლით, ღვთისადმი სასოებით და იმედით, როგორც მოგვიწოდებს ეკლესიის უდიდესი მამა წმ. იოანე დამასკელი: "დავადგრეთ ეკლესიის გადმოცემას, ნუ შევცვლით ჩვენი წმ. მამების მიერ დადებულ საზღვრებს, ნუ დავუთმობთ ადგილს მათ, ვისაც სიახლეების შემოტანა და საღმრთო, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის შენობის დანგრევა სურს, რადგანაც, თუ ყველა თავის ნებაზე მოიქცევა, ეკლესიის სხეული ნელ-ნელა დაირღვევა".

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე კი ქრისტეს მტერთა მიმართ შეუწყნარებლობისკენ მოგვიწოდებს: "სადღა იქნება სიყვარული და ერთობა ეკლესიასა შინა, უკუეთუ ყოველმან კაცმან თვისებრ დაიწყოს სწავლა საღმრთოთა საგანთა ზედა... წინააღმდეგომთა ქრისტეს სჯულისათა, ანუ გარდამაქცეველთა და განმასხვავებელთა მისგან მოცემულისა სწავლისასა ვეტყვით ანათემასა, ე.ი. უარყოფთ მათ და განვადებთ ეკლესიის კრებულისაგან".

მამა სერაფიმე როუზის სიტყვებით, სამეუფო გზაა "უღმერთობის საუკუნეში მართლმადიდებელი გადმოცემათა" დაცვა, "რომ ჭეშმარიტი და განუდრეკელი მართლმადიდებლობის ხმა ყოველსა ქვეყანასა განხდეს...ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ეს ხმა ჭეშმარიტი, ანუ წმიდა მამებისეული მართლმადიდებლობის ხმა იყოს".

სამეუფო გზით სიარულის არსს ნათლად განმარტავს წმ. მაქსიმე აღმსარებელი - განმარტავს როგორც სიტყვით, ისე თავისი ცხოვრებით. მაგალითისათვის, როდესაც ბიზანტიაში მონოთელიტური მწვალებლობა მძვინვარებდა და კონსტანტინოპოლის ეკლესია, მისი პატრიარქი, მეფე, ყველა მღვდელმთავარი და დიდებულები, ასევე ერი შთავარდნილიყვნენ ამ მწვალებლობაში, ღმერთმა გამოაჩინა მართლმორწმუნე ბერი - მაქსიმე აღმსარებელი - მოწაფეებითურთ, რომელიც წინ აღუდგა მწვალებლობას, ამხილა პატრიარქი, მეფე, ეპისკოპოსები და ყველა, ვინც იზიარებდა მონოთელიტურ მწვალებლობას. ერთი შეხედვით რა უნდა დაეკლო ერთ ბერს მწვალებლობაში ჩავარდნილი თითქმის მთელი ეკლესიისათვის? მაქსიმე აღმსარებლის მარტვილობა ნათელი მაგალითია ეკლესიის სწავლებისა, რომ ბოროტს ეშინია არა სიმრავლის, არამედ სიმართლის, თუნდაც ამ სიმართლის მდალადებელი ეკლესიის მხოლოდ ერთი წევრთაგანი იყოს.

მამამთავართა სამსჯავროზე წარმდგარი მაქსიმე ზეწოლას არ შეუშინა - მას აიძულებდნენ რომ დათანხმებოდა ეკლესიის უმრა-ვლესობას. პირიქით, იგი უშიშრად ამხელდა მწვალებლებს: "ჰრქუეს მას მამამთავართა მათ: აწ არა ეზრახებია საყდარსა კონსტანტინეპოლისისა? მიუგო წმიდამან მაქსიმე: ნუ იყოფინ! არა ვეზიარები. მთავართა ჰრქუეს: რომლისა მიზეზისათვის არა

უზიარები? მიუგო წმიდამან მაქსიმე: ამისთვის, რამეთუ კრებათა მათ წმიდათა ნიკეისა და კონსტანტინეპოლისა და ეფესოსისა და ქალკედონისა წინააღმდეგ და უარ-ყვეს . . . მთავართა ჰრქუეს: რაი არს უკუე, შენ ხოლო სცხონდები და ყოველნი წარწყმდებიან? მიუგო წმიდამან მაქსიმე: არავინ განიკითხეს სამთა მათ ყრმათა, ოდეს-იგი ხატსა მას ოქროისასა არა თაყუანისცეს, რომელსა ყოველნი იგი ერნი თაყუანის-სცემდეს; რამეთუ არა სხუათა მათ ერთსა საქმესა ხედვიდეს, არამედ ამას ეკრძალებოდეს, რაითა იგინი არა მიდრკენ ჭეშმარიტებისაგან".

ამგვარად, წმინდა ბერი გვასწავლის, რომ სამეუფო გზით მავალმა, ბიბლიური სამი ყრმის მსგავსად, არავინ არ უნდა განიკითხოს. ამავე დროს მან შეუპოვრად უნდა ამხილოს მწვალებლები და, თუ ისინი არ შეინანებენ, უნდა ეცადოს, რათა ეკლესიამ შეაჩვენოს მწვალებლობა და მასთან ერთად მწვალებლები - ისევ მათივე სიკეთისათვის.

სამეუფო გზის არსის შესახებ იერარქები ხშირად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. მაგრამ ქრისტეს ეკლესიაში სამეუფო გზის არსს ხომ ეკლესიის სწავლება განსაზღვრავს და არა ავტორიტეტები. როგორც ეკლესიის სწავლებაა უცვლელი, ასევე უცვლელია სამეუფო გზა. ამის დასტურად მოვიყვანოთ ეპიზოდი წმ. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებიდან: "მთავართა მათ თქუეს: უკეთუ შეერთნეს ჰრომნი ამას ეკლესიასა, შენ რასა იქმ? მიუგო წმიდამან მაქსიმე: სულმან წმიდამან პირითა ჰავლე მოციქულისაითა ანგელოზისათვისცა თქუა: "გინა თუ ანგელოზი ზეცით მოვიდეს და გახარებდეს თქუენ გარეშე მისა, რომელი გახარე, შეჩუენებულ იყავნ" (გალატ. 1,8). აწ უკუე მე მართლისა სარწმუნოებისაგან არა მივსდრკები".

დღეს კი ხშირად იქადაგება, რომ ის რაც ძველ დროში სამეუფო გზით სიარულს ნიშნავდა, დღეს ფანატიზმი და ჭარბი მოშურნეობაა. სამწუხაროა, რომ ამ მცდარ მოსაზრებას ზოგჯერ მღვდელმთავრები წარმოთქვამენ, ხოლო მათი ავტორიტეტით ცდუნებული ერი იზიარებს ამ ცდომილებას. ეს პრობლემა ეკლესიაში ყოველ ჟამს არსებობდა, არ ახალია. აი, მაგალითი: სამსჯავროზე გაყვანილი წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ამხელს მწვალებლობაში ჩავარდნილებს და ქადაგებს ეკლესიის ჭეშმარიტ სწავლებას: ხოლო "ყოველივე, რომელთა ესმა, გულისხმა-ყვეს ჭეშმარიტებაი სიტყუათა მისთაი, და ვერვინ შემძლებელ იყო სიტყვისგებად ანუ წინააღმდეგმად მისდა, რამეთუ არა იგი იყო მეტყუელ, არამედ სული წმიდაი ასწავლიდა საიდუმლოთა მას საღმრთოთა, ვითარცა ჰრქუა უფალმან მოწაფეთა თვისთა, ვითარმედ: "ოდეს-იგი მიგიყვანებენ წინაშე მეუფეთა და მთავართა, ნუ ჰზრუნავთ, რაი სთქუათ ანუ რაი მიუგოთ" (მათ. 10,19) . . . ხოლო დადაცათუ გულისხმა ყვეს ყოველთა ძალი სიტყუათა მისთაი, არამედ სათნოებისათვის მეფისა და პატრიარქისა არა აღიარეს ჭეშმარიტებაი მხოლოისა ღმრთისაი . . . ჰრქუა პატრიარქმან: "იხილე, მაქსიმე, ნუუკუე ვერ მიემთხვიო სხუასა ჩემებრსა მოხვაიშნესა წინაშე მეფისა; გულისხმა-ყავ და ისმინე სიტყუაი ჩემი და ამათ მთავართა ყოველთაი". წმიდამან მაქსიმე თქუა: "ესე რომელი წარმოვთქუ სარწმუნოებაი, ამისგან მიდრეკაი მარჯულ გინა მარცხულ ჩემგან შეუძლებელ არს, რაიცა გნებავს, ქმენით" (მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება).

აი, რა არის სამეუფო გზა, გზა "არცა მრცხულ, არცა მარჯულ" - ესაა მაქსიმე აღმსარებლის გზა, არა მოდერნიზმი და "იკონომიზმი", არამედ ეკლესიის უცვალებელი სწავლების დაცვა, ჭეშმარიტების დაცვა, ტკიცედ, შეურყეველად, თავდადებით. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რათა გავმართლდეთ ღვთის წინაშე. ამას მოწმობს მაქსიმე აღმსარებლის სიტყვები: "თევდოსი თქუა: აწ უკუე ამისთვის იტანჯებია შენ ამას ექსორობასა, რომელ გიძღვის რაიმე, ღირსი ამის ჭირისაი? წმიდამან მაქსიმე თქუა: ვევედრები ღმერთსა, რაითა ესე ჭირი იყოს მოსაგებელად ყოველთა ცოდვათა ჩემთა და არღარა მას საუკუნესა მომაგოს".

იმ ამპარტავნების სულის შესახებ, რომელიც "მემარცხენეებსა" და "მემარჯვენეებს" ახასიათებთ, ასე მსჯელობს მთავარეპისკოპოსი ამბერკი: "როგორც წინასწარ განჭვრიტა წმიდა მოციქულმა პავლემ (საქმე, 20, 30), ამპარტავნებითა და პატივმოყვარებით ეშმაკისაგან მოხიბლულმა ადამიანებმა მისივე დარწმუნებითა და შეგონებით ქრისტიანეთა შორის სარწმუნოებრივი დავა

წამოიწყეს . . . ასე აღმოცენდა მწვალელობანი და განხეთქილებანი, რომლებიც ძირის გამოთხრას უქადოდენ ქრისტეს მოძღვრების ცხოველყოფელსა და მაცხოვრებელ ძალას ჭეშმარიტების სანაცვლოდ სიცრუის შეპარებით". ანუ ესაა ჭეშმარიტი ეკლესიისგან განდგომის სული, რომელსაც ეკლესიის სწავლებით "მემარცხენეობა" და "მემარჯვენეობა" ეწოდება, ხოლო სამეუფო გზა არის სამუალო მათ შორის. ნიშანდობლივია, რომ სამეუფო გზით მავალთ თავს ესხმიან ორივე მხრიდან: მემარცხენეები მათ ფანატიკოსებს, რადიკალებსა და სქიზმატებს უწოდებენ, ხოლო მემარჯვენეები – მწვალელებსა და ლიბერალებს.

მებრძოლი ეკლესიის მთელი ისტორია არის მაგალითი სამეუფო გზით მავალთა მიერ სქიზმის უარყოფისა და მწვალელობასთან და სიახლეთა შემომტანებთან ბრძოლისა, რომელიც ხშირად უკომპრომისო და მოწამებრივი იყო. იმის მაგალითები, რომ ბრძოლა არამარტო დოგმატების, არამედ კანონების დასაცავადაც წარმოებდა, ეკლესიის ისტორიაში მრავლადაა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური ზეწოლით კონსტანტინოპოლის პატრიარქად მოიყვანეს მელეტი მეტაქსაკისი. ამის სანაცვლოდ მან შეასრულა ხელისუფალთა დაკვეთა - მოიწვია უკანონო კრება, რომელსაც მსოფლიო მართლმადიდებელთა კონგრესი დაარქვა. მათ მიიღეს მრავალი უკანონო დადგენილება, რომელთაგან ერთ-ერთი კონსტანტინოპოლის ეკლესიის ახალ (შერეულ) სტილზე გადასვლას შეეხებოდა. ამის გამო მელეტის მთელი კონსტანტინოპოლი აუჯანყდა და ის ქალაქიდან გააგდეს. სიკვდილის წინ მან ხელები დაიმტვრია და ყვიროდა - ღმერთი არ მაპატიებს ეკლესიის დაშლასო. საგულისხმოა, რომ კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში მყოფმა მრავალმა ეკლესიამ და მონასტერმა, მათ შორის ათონის მთის მონასტრებმა, არ მიიღეს ახალი კალენდარი და ძველი სტილით გააგრძელეს მსახურება.

ასევე მეტად საგულისხმოა მაგალითი საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან, როდესაც წინა საუკუნის 20-იან წლებში რუსეთისა და საქართველოს ეკლესიის სინოდებმა ხელისუფლების ზეწოლით მიიღეს უკანონო დადგენილება ახალ სტილზე გადასვლასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს დადგენილება არ იქნა მიღებული სამღვდელოებისა და მრევლის მიერ, ვერ დამკვიდრდა ეკლესიაში და არ იქნა ცხოვრებაში გატარებული. სწორედ ამას გვასწავლის ქრისტეს ეკლესიის ისტორია და ამ გზაზე სიარულია ეკლესიის მიერ სამეუფო გზაზე სიარულად მიჩნეული, და არა კომპრომისების გზა. ამას გვასწავლის ეკლესია მოციქულის პირით: **“მორჩილებაი ჯერ არს ღმრთისაი უფროის, ვიდრე კაცთაი”** (საქმ.5,29).

ეკლესიის ამ სწავლებას - უკომპრომისობას მწვალელობასთან და უმსგავსოებასთან ბრძოლაში - კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს ქრისტეს ეკლესიის მანათობელი მოძღვარი, წმ. იოანე ოქროპირი: **"ღღეს თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო საკითხე, რომელიც ღვთის ქადაგებას ეხება. ამავე დროს მინდა გთხოვოთ, რომ თითოეული თქვენგანი წინ აღუდგეს ღვთის მგმობელს. თუ ვინმე გზაჯვარედინზე ან მოედანზე ღმერთს ამაგებს, მიდი და შთააგონე და, თუ საჭირო შეიქმნება, ხელით შეეხე კიდევ, დაუხშე პირი - კურთხეულ იყოს შენი მარჯვენა! და თუ ბრალს დაგდებენ, პასუხს მოგთხოვენ, სასამართლოში წაგიყვანენ, წადი და გაბედულად უთხარი მოსამართლეს, რომ შეურაცხყვეს ანგელოზთა მეუფე, და თუკი მიწიერი მეფის მგმობელი სასჯელის ღირსია, მაშინ ბევრად უფრო დიდ სასჯელს იმსახურებს ღვთის შეურაცხმყოფელი . . . დაე, იცოდნენ იუდეველებმა და ელინებმა, რომ ქალაქის დამცველები, მოძღვრები და მმართველები ქრისტიანები არიან. დაე, იცოდნენ გარყვნილებმა და უზნეოებმა, რომ შიში უნდა ჰქონდეთ ღვთის მონებისა, და თუ მოისურვებენ ღვთის გმობას, გარშემო მიმოიხედონ, ჩრდილის დანახვაზეც კი უნდა ძრწოდენ ქრისტიანების შიშით . . . სიკვდილამდე იბრძოლე ჭეშმარიტების დასაცავად. ნუ მეტყვი გულგრილად, რომ შენი საქმე არაა უზნეოთა გამოსწორება; ნუ მეტყვით, რომ არაფერი გვაქვს მათთან საერთო, იმიტომ რომ ეს არის სატანური არაადამიანურობა. ერთი მგზნებარე ადამიანიც კი საკმარისია, რომ გამოასწოროს მთელი ქალაქი. მრავალთა დალუპვა და**

სულიერი დაცემა მხოლოდ ჩვენი უდარდებლობის ბრალია და არა სისუსტისა".

როგორ ანაქრონიზმად ჟღერს წმ. მამის ეს სწავლება ქრისტიანების უარყოფელთათვის და ანტიქრისტიანული ინტეგრაციის მოსურნეთათვის, მათ მიერ ხელდასხმული მთავრობებისა და ინსტიტუტებისათვის. მათი მცდელობები ეკლესიის წინააღმდეგ სულ უფრო ამკარა და ცილისმწამებლური კამპანიის ხასიათს ღებულობს. პატრიარქის 2005 წლის სამოხაო ეპისტოლეში ვკითხულობთ: "გარკვეული პირები ჩვენი ეკლესიის საქმიანობას ხშირად რუსეთიდან მართულ პროცესებთან აკავშირებენ, რაც პოლიტიკური პროვოკაციის სახეს ატარებს. . . ამგვარი ცილისმწამება არაერთხელ გაჟღერდა საეკლესიო კალენდრის გამოც. ოპონენტებს ავიწყდებათ, რომ, რუსეთის გარდა, ძველ სტილზე იმყოფება იერუსალიმისა და სერბეთის ეკლესიები, ათონისა და სინას მთა, ასევე კონსტანტინეპოლის, ელადის, ჩეხეთის და სლოვაკეთის მართლმადიდებელ სამრევლოთა ნაწილი".

ამგვარად, ეკლესიის სწავლების – დიგმატებისა და კანონების დაცვა არის ეკლესიის ყოველი წევრის უფლებაცა და მოვალეობაც. ამ მიმართებით გვაფრთხილებენ და გვამხნევენ ქრისტეს ეკლესიის ჩვენი თანამედროვე მამები: "იგოდეთ, ჩვენი ეკლესია არაკეთილისმსურველთა სამიზნედაა ქცეული, რომელნიც ცდილობენ მისი ავტორიტეტის შელახვას და სხვადასხვა საშუალებით ეკლესიისგან ხალხის ჩამოშორებას." "დაყავი და იბატონე", - ეს მზაკვრული ხერხი ხშირად გამოუყენებიათ საქართველოში, და, სამწუხაროდ, მისი შედეგიც არაერთი გვინახავს. ყველაზე გულსატკეპნი სწორედ ესაა, რომ მტერი მუდამ პოულობდა მოღალატეს ჩვენში და ჩვენი ხელით ანხორციელებდა თავის შავ-ბნელ გეგმებს" (ილია II, სსქ. კათოლიკოს-პატრიარქი); "მართლმადიდებლო ქრისტიანებო! მთელი ძალდონით დაიცავით თქვენთვის ბომბული მადლი ღმრთისა, ნუ ეცდებით მის გაზომვას კაცობრივი საზომით და ნურც კაცობრივი ლოგიკით შეაფასებთ! არ გეგონოთ, თითქოს შეიძლებოდეს ჩასწვდეთ მას კაცობრივი გონებით ანდა თითქოს სულიწმიდის მოხვეჭა რაღაც სხვა გზითაც შეიძლება, იმის გარდა, რომელიც ქრისტეს ეკლესიამ გვამცნო. ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის ადგილი ამ დემონურ დროში თითქოს მართლაც აღარსად არის - ესაა სულ უფრო მცირე ჯგუფი შეურაცხი და "უგუნური" ადამიანებისა, რომელთაც გარშემო სულ სხვა სულით შთაგონებული რელიგიური "აღორძინება" აკრავთ გარს. მაგრამ, დაე, უფალი იესო ქრისტეს სიტყვებმა გვანუგეშონ: "ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყოსსა, რამეთუ სათნო-ყო მამამან თქუნემან ზეცათამან მოცემად თქუნდა სასუფეველი" (ლუკა, 12,32)" (სერაფიმე როუზი).

სამეუფო გზაზე სიარულისას უშიშროებისა და თავდადების მაგალითს გვიჩვენებს წმ. მაქსიმე აღმსარებელი. ასეთი თავდადება დღეს ფანატიზმად არის მონათლული, ხოლო ასეთი "ფანატიზმის" მიმდევრებს დასჯით ემუქრებიან. წმ.მაქსიმე აღმსარებელი ასე დასაჯეს: "დაწერა მეფემან განჩინებაი ნეტართა მათ მამათათვის: უბრძანებთ დიდებულსა ეპარხოსსა, რაითა წარმოგადგინნეს ქალაქპეტობისა მისისა სამშჯავროსა და შოლტითა ზურგი თქუენი უწყალოდ გუემოს და მერმე ენანი სამთანივე ძირით აღმოგკუეთნეს და მარჯვენანი ხელნი, მწერალნი გმობისანი, მახვილითა დაგკუეთნეს; და შემდგომად დაჭრისა ბოროტთა მათ ასოთა თქუენტა, განგაქიქეს ათორმეტთა მათ უბანთა სამეუფოისა ამის ქალაქისათა და შემდგომად განქიქებისა მის წარგავლინეს სამარადისოსა ექსორობასა და პერობილებასა კერძოთა სამეგრელოისა, რაითა იგლოვდეთ ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა გმობისა თქუენისა ცთომილებასა. . . ხოლო წმიდაი იგი სანატრელი მაქსიმე, ჭეშმარიტი იგი მონა, აღმსარებელი ქრისტესი, შეიყენა ზემოწერილისა მას ციხესა და იყოფვიდა მუნ, ვითარცა ანგელოზი ღმრთისაი. . . ხოლო გზითცა და ციხითცა წერდა ეპისტოლეთა სულიერთა და მართლისა სარწმუნოებისათვის საყუარელთა მიმართ. რამეთუ კალამი მოებმის ხელსა მას დაკუეთილსა და წერნ".

სამეუფო გზაზე სიარულისას მხოლოდ ღმერთს უნდა ვსასოებდეთ, მხოლოდ ღვთის მცნებებით უნდა ვცხოვრობდეთ და მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის სწავლებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ -

ამას გვასწავლის ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, კათოლიკოს პატრიარქი ილია II: "წინასწარმეტყველი ამბობს: "უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს" - სულ ამას მივტირით მთელი ისტორიის მანძილზე, - ძალა ჰქონდეს საქართველოს, რომ შინაურ თუ გარეულ მტერს გაუძლოსო. იმისთვის, რომ ძალი ღვთისა მივიღოთ, ერი უფლისა უნდა ვიყოთ, რადგან უფალი თავის ერს აძლევს ძალას. ჩვენმა ერმა უნდა იგრძნოს, რომ სხვა მშველელი, გარდა უფლისა, არ არსებობს და რომ ძალის მომცემიც მხოლოდ იგია".

ეს ბრძნული სიტყვები საქართველოს და მისი ეკლესიის მოწამებრივი ისტორიის გააზრებას წარმოადგენს, ისტორიისა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკლესიის სამეუფო გზაზე სიარული ჭეშმარიტი სარწმუნეობის დაცვას, "უცხო-თესლი რაიმე სარწმუნეობაის" (წმ. მეფე დავით აღმაშენებელი) უარყოფას და ქრისტეს ერთგულებას ნიშნავს. ამ ჭეშმარიტების დამამტკიცებელია ქრისტეს ეკლესიის მოწამეთა დასი, ხოლო მოწამეობის ნათელი სვეტი - რიგით ქართველთა, "ათთა ბევრთა" ქრისტესთვის თავდადება, რომლებთანაც მიმსგავსების სურვილსა და სწრაფვას დღევანდელი მსოფლიო ფანატიზმს უწოდებს.

მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეს მართლმადიდებელი ქრისტიანი. უკომპრომისო ბრძოლისათვის მოწოდებასთან ერთად ეკლესიის მამები ასე გვამხნევენ: "მაშ, დაე, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი გამხნევდეს მომავალი ბრძოლის მოლოდინში და ნუ დაივიწყებს, რომ ქრისტეს მიერ გამარჯვება მუდამ ჩვენ დაგვრჩება. მან აღგვითქვა, რომ ქრისტეს ეკლესიას "ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან" (მათე, 16,18), და მართლაც, "უკუეთუ ღმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს ძვირის მყოფელ ჩუენდა?" (რომ. 8,31)" (სერაფიმ როუზი).

არავინ! მაშ, მივდიოთ ეკლესიის მიერ დასახულ ჭეშმარიტად სამეუფო გზას და მუდამ გვახსოვდეს, რომ ჩვენთან არს ღმერთი და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა! ამინ!

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის
მართლმადიდებელი მრევლის კავშირი

2005 წ.

(ყლაზე გამოტანილი ციტატები)

"სიკვდილამდე იღვაწე სიმართლისათვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის"

ზირაქი 4. 28

"სადღა იქნება სიყვარული და ერთობა ეკლესიასა შინა, უკუეთუ ყოველმან კაცმან თვისებრ დაიწყოს სწავლა საღმრთოთა საგანთა ზედა . . . წინააღმდეგომთა ქრისტეს სჯულისათა, ანუ გარდამაქცეველთა და განმასხვავებელთა მისგან მოცემულისა სწავლისასა ვეტყვით ანათემასა, ე.ი. უარყოფთ მათ და განვაძებთ ეკლესიის კრებულისაგან".

წმ. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე

"იცოდეთ, ჩვენი ეკლესია არაკეთილისმსურველთა სამიზნედაა ქცეული, რომელნიც ცდილობენ მისი ავტორიტეტის შელახვას და სხვადასხვა საშუალებით ეკლესიისგან ხალხის ჩამოშორებას. "დაყავი და იბატონე", - ეს მზაკვრული ხერხი ხშირად გამოუყენებიათ საქართველოში, და, სამწუხაროდ, მისი შედეგიც არაერთი გვინახავს. ყველაზე გულსატკენი სწორედ ესაა, რომ მტერი მუდამ პოულობდა მოღალატეს ჩვენში და ჩვენი ხელით ანხორციელებდა თავის შავ-ბნელ გეგმებს"

ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ციტატები მოგვყავს წიგნიდან "მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრება" თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმინდელისა

იმ დროს რომის ეკლესია მტკიცედ იდგა ჭეშმარიტ სწავლებაზე